LEPL Kote Marjanishvili Professional State Drama Theatre
Digitally signed by LEPL Kote Marjanishvili Professional State Drama Theatre
Date: 2019.04.05 18:25:43 +04'00'

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 01/04 - 1

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 1 აპრილი 2019 წ.

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანების №13 "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები. 1.2 „შემსყიდველი" ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

**2. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ სსიპ **"კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" დირექტორის ეკატერინე მაზმიშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ **შპს „ ალმა "** **ს.კ. 204873388** (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

**3. ხელშეკრულების საგანი**

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **სარეკლამო პლაკატის 2.31 კვ.მ. (ბადე-სტიკერი) ბეჭდვითი მომსახურების (CPV-79800000). შესყიდვა სპექტაკლისათვის „ მეფე კვდება "**

შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის <u>საშუალებით</u>, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი შესაბამისად. საქართველოს მთავრობის განკარგულება № 99 (2012 წლის 24 იანვარი) საფუძველზე.

**4. ხელშეკრულების ღირებულება**

4.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **93.56 (ოთხმოცდაცამეტი ლარი და 53 თეთრი) ლარს.** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. ერთეულის ფასი შეადგენს – 40.5 ლარს

**5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად გაუწიოს მომსახურება. მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 დღე..

**6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

**7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

7.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

**8. ანგარიშსწორება**

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

**9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის,

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**10. ფორს-მაჟორი**

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

**11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.5 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით.

11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**12. ხელშეკრულების შეწყვეტა**

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

**13. დავების გადაწყვეტის წესი**

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**14. სხვა პირობები**

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 01.04.2019 – 01.05.2019

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**მიმწოდებელი:**

შპს „ ალმა " ,
მის: თბილისი, ვაჟის ქ.6
ს.კ. 204873388

**შემსყიდველი:**

სსიპ კოტე მარჯანიშვილის
სახელობის პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრი
მის: კ. მარჯანიშვილის ქუჩა
№8
ს/კ 201947705
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი
ანგარიში
ბ/კ TRESGE22

---

დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 1 აპრილი 2019 წ.

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სსიპ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი, ხელის მოწერით ადასტურებს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში შპს „ალმა”- ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თეატრის დირექტორი ეკა მაზმიშვილი ეკატერინე მაზმიშვილი

## მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 1 აპრილი 2019 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი: ერთის მხრივ სსიპ "კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" მისი დირექტორის ეკატერინე მაზმიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ალმა" ს.კ. 204873388 - ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია შემდეგი სახის მომსახურება:

**სარეკლამო პლაკატის 2.31 კვ.მ. (ბადე-სტიკერი) ბეჭდვა (CPV-79800000). სპექტაკლისათვის „ მეფე კვდება "**

წინამდებარე აქტი ადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას და წარმოადგენს დადგენილი ანაზღაურების გადახდის საფუძველს.

საერთო თანხა შეადგენს **93.56 (ოთხმოცდაცამეტი ლარი და 53 თეთრი) ლარს.**

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.
აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სსიპ "კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრთან" ხოლო მეორე –შპს „ალმა"-სთან

აქტის სისწორეს ვადასტურებთ:

**შემსყიდველი:**

სსიპ კოტე მარჯანიშვილის
სახელობის პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრი
მის: კ. მარჯანიშვილის ქუჩა
№8
ს/კ 201947705
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი
ანგარიში
ბ/კ TRESGE22

---

დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი

**მიმწოდებელი:**

შპს „ალმა " ,
მის: თბილისი, ვაჟის ქ.6
ს.კ. 204873388